საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დომბაიულგენი

დომბაიულგენი, უღელტეხილი გულრიფშის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. სამხრ. პტიშის (ჩხალთის მარცხ. შენაკადი) სათავესთან. სიმაღლე ზ. დ. 3085 მ.

აგებულია პალეოზოური გნაისებითა და კრისტალური ფიქლებით. უღელტეხილი თოვლ-ყინულიანია, საცალფეხო გზით აკავშირებს მდინარეების ჩხალთისა (კოდორის მარჯვ. შენაკადი) და თებერდის (ყუბანის მარცხ. შენაკადი) აუზებს.

დ. უკლება